საქმე №2/26628-17

4511546479805

www.info.court.ge

განჩინება
საქართველოს სახელით

კრედიტორთა კრების მოწვევის შესახებ

19.09.2018 წელი თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია

მოსამართლე თამარ ჭუნიაშვილი

განმცხადებელი - შემოსავლების სამსახური

მოვალე - შპს ,,მუნ სტარ“
(საიდენტიფიკაციო კოდი 434157440)
დირექტორი - ელხან აივაზოვი
წარმომადგენელი - გიორგი ზედგინიძე

მეურვე - აღსრულების ეროვნული ბიურო
წარმომადგენელი - ირაკლი წიკლაური

მოთხოვნა - კრედიტორთა კრების მოწვევა

სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა კრედიტორთა კრების მოწვევის საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განხილვაშია

შპს ,,მუნ სტარის“ გადახდისუუნარობის საქმე.

კრედიტორთა პირველ კრებაზე სრულად ვერ იქნა განხილული დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები, რის გამოც კრედიტორთა პირველი კრება შეწყდა, იგი უნდა გაგრძელდეს კანონით დადგენილი წესით.

,,გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ'' საქართველოს კანონის 27-ე მუხლის ოცდამეორე ნაწილის თანახმად, კრედიტორთა პირველი კრების ხანგრძლივობაა არა უმეტეს 7 სამუშაო დღისა. კრედიტორთა უბრალო

უმრავლესობის არგუმენტირებული წერილობითი თხოვნის საფუძველზე მოსამართლეს შეუძლია ამ ვადის გაგრძელება არა უმეტეს 3 დღით.

სასამართლომ იხელმძღვანელა ,,გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5, მე-7, მე-8, მე-9, 25-ე, 27-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-285 მუხლებით

დ ა ა დ გ ი ნ ა

1. კრედიტორთა პირველი კრება გაგრძელდეს 2018 წლის 21 ნოემბერს 10:00 საათზე თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე ქ. თბილისში დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6) სხდომის დარბაზი №29, შემდეგი დღის წესრიგით:

1.1. მომრიგებელი საბჭოს წევრების არჩევა;

1.2. სხვა კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების განხილვა.

2. განჩინება გამოქვეყნდეს სასამართლოს დაფაზე და ვებგვერდზე www.tcc.gov.ge.

3. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს გამოცემიდან 5 დღის ვადაში კერძო საჩივრით თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში.

მოსამართლე **თამარ ჭუნიაშვილი**

LEPL LEGISLATIVE HERALD OF GEORGIA

Digitally signed by LEPL LEGISLATIVE HERALD OF GEORGIA
DN: cn=LEPL LEGISLATIVE HERALD OF GEORGIA, 2.5.4.97=NTRGE-203862622, o=[illegible], c=GE
Date: 2018.09.26 17:21:44 +03'00'